შპს „პრემიქსი“

2021 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული
წლის ინდივიდუალური ფინანსური
ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 4
კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება 5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 7

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2021 **31/12/20**	2020 **31/12/20**	2019 **31/12/19**
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	770,192	760,979	584,879
არამატერიალური აქტივები	9,749	5,694	5,313
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსი	-	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-	-
	779,941	**766,673**	**590,192**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	3,897,648	4,224,212	3,922,959
გაცემული სესხები	-	-	-
გაცემული ავანსები	-	-	-
სავაჭრო მოთხოვნები	950,008	821,333	856,619
სხვა მოთხოვნები	37,525	6,631	280
მიმდინარე საგადასახადო აქტივები	16,573	12,976	62,479
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტი	130,569	151,359	155,432
	5,032,323	**5,216,511**	**4,997,769**
სულ აქტივები	**5,812,264**	**5,983,184**	**5,587,961**
კაპიტალი და ვალდებულები	- 131,959		
საწესდებო კაპიტალი	547,773	547,773	547,773
გაუნაწილებელი მოგება	3,989,621	3,857,662	3,043,552
	4,537,394	**4,405,435**	**3,591,325**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	816,594	926,907	925,711
	816,594	**926,907**	**925,711**
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები	402,687	431,903	525,688
	-	-	-
	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	55,589	218,939	545,237
მიღებული ავანსები	-	-	-
	458,276	**650,842**	**1,070,925**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**5,812,264**	**5,983,184**	**5,587,961**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, და ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2022 წლის 15 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

გიორგი კუპრაშვილი დირექტორი	გიორგი სვანიძე ფინანსური დირექტორი
G. კუპრაშვილი	
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
მოგება / ზარალის ანგარიშგება

წელი	2021	2020	2019
შემოსავალი	**6,566,843**	**5,035,281**	**4,663,621**
გაყიდვების თვითღირებულება	4,554,165	3,291,540	3,206,998
საერთო მოგება	**2,012,678**	**1,743,741**	**1,456,623**
ადმინისტრაციული ხარჯები	**1,746,427**	**1,427,687**	**1,203,541**
- რეკლამის ხარჯები	6,592	37,428	4,669
- შრომის ანაზღაურება	1,000,637	830,846	775,245
- სოციალური დანარიცხები	20,039	16,660	14,798
- საიჯარო ქირა	533,343	396,216	269,088
- კომუნიკაციის ხარჯები	24,687	27,474	21,761
- კომუნალური ხარჯები	16,891	13,950	12,017
- სამივლინებო ხარჯები	2,430	13,399	13,697
- რემონტი	11,651	11,623	16,584
- ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა	48,262	23,682	17,409
- კომპიუტერის ხარჯები	-	-	-
- საწვავის ხარჯი	-	-	-
- საკონსულტაციო ხარჯები	-	-	-
- საეჭვო მოთხოვნ. დაკავშირებული ხარჯები	-	-	10,385
- სხვა საგადასახადო ხარჯი	63	1,452	60
- საბანკო მომსახურება	38,676	22,761	16,259
- წარმომადგენლობითი ხარჯი	1,371	378	3,493
- სხვა საერთო ხარჯი	41,785	31,818	28,076
საოპერაციო საქმიანობის შედეგები	**266,251**	**316,054**	**253,082**
- არასაოპერაციო ხარჯი/შემოსავალი	- 77,209	- 855,383	- 111,020
- ცვეთა და ამორტიზაცია	55,945	50,017	46,383
- საპროცენტო ხარჯები	72,850	69,653	70,995
სრული მოგება	**214,665**	**1,051,767**	**246,724**

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2022 წლის 15 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

გიორგი კუპრაშვილი დირექტორი	გიორგი სვანიძე ფინანსური დირექტორი
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის საწესდებო კაპიტალი

	საწესდებო კაპიტალი	გაუწაწილებელი მოგება	კაპიტალი სულ
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**547,773**	**2,833,922**	**3,381,695**
გადახდილი დივიდენდი	-	- 37,094	- 37,094
მიღებული მოგება / ზარალი	-	246,724	246,724
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**547,773**	**3,043,552**	**3,591,325**
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**547,773**	**3,043,552**	**3,591,325**
გადახდილი დივიდენდი	-	- 237,658	- 237,658
მიღებული მოგება / ზარალი	-	1,051,768	1,051,768
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**547,773**	**3,857,662**	**4,405,435**
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**547,773**	**3,857,662**	**4,405,435**
გადახდილი დივიდენდი	-	- 82,704	- 82,704
მიღებული მოგება / ზარალი	-	214,663	214,663
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**547,773**	**3,989,621**	**4,537,394**

კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2022 წლის 15 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

გიორგი კუპრაშვილი დირექტორი	გიორგი სვანიძე ფინანსური დირექტორი
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	**2021**	**2020**	**2019**
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	200,768	1,148,920	- 406,491
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	- 51,472	- 793,862	- 24,415
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	- 167,189	- 381,689	500,475
წმინდა ზრდა/ კლება ფულსა და ფულის ექვივალენტში			
სავალუტო კურსის ეფექტი	- 2,898	22,558	- 3,556
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	151,359	155,432	89,420
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	130,569	151,359	155,432

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2022 წლის 15 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

გიორგი კუპრაშვილი	გიორგი სვანიძე
დირექტორი	ფინანსური დირექტორი
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. **ანგარიშგების წარმდგენი საწარმო**
   - **ბიზნეს გარემო**
     კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

   - ორგანიზაცია და საქმიანობა
     შპს „პრემიქსი“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, როგორც ამას განმარტავს „საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ“. კომპანია რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2012 წლის 04 დეკემბერს.

     კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზ., № 43, ბ. 43.

     კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის: ავტომობილის ძრავის ზეთის, საპოხი მასალის და სხვა ნაწილების იმპორტი და მათი რეალიზება კორპორატიულ და საცალო მომხმარებლებთან ადგილობრივ ბაზარზე; ავტომობილების შეკეთების და გამართვის სერვისი თბილისში, საქართველოში.

     კომპანიის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს საკუთარი კაპიტალი და საბანკო კრედიტი

2. **მომზადების საფუძვლები**
   - **შესაბამისობა**
     წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

3. **სამუშაო და წარსადგენი ვალუტა**
   საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი (GEL), რომელიც წარმოადგენს სამუშაო ვალუტას და რომელშიც მოცემული ფინანსური ანგარიშგებაა წარმოდგენილი. ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ერთეულამდე თუ სხვანაირად არ არის მითითებული.

4. შეფასებისა და მსჯელობების გამოყენება

მსს ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან. შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა. ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს კრიტიკული მსჯელობები გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს დაშვებებთან და შეფასებებთან დაკავშირებული გაურკვევლობები, რომლებიც წარმოშობს არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

5. შემოსავალი

შემოსავალი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

შემოსავალი საქონლის მიწოდებისგან	6,357,050
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	209,792

გაყიდული საქონელი

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში შეფასებულია მიღებლი ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, წმინდა უკუგებით, სავაჭრო ფასდაკლებების და მოცულობითი ფასდაკლების გათვალისწინებით. შემოსავალი აღიარდება როდესაც დამაჯერებელი მტკიცებულებები არსებობს, ჩვეულებრივ როგორც წესი გაყიდვის ხელშეკრულება, რაც ნიშნავს რომ მფლობელობის რისკი და სარგებელი გადასულია მომხმარებელზე, მისაღები თანხების ანაზღაურება შესაძლებელია, დაკავშირებული ხარჯები და საქონლის შესაძლო დაბრუნების ალბათობის შეფასება სანდოა, საქონელთან დაკავშირებით მენეჯმენტის ჩართულობის გაგრძელება აღარ ხდება, და შემოსავლის ოდენობა შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

მომსახურება

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან აღიარდება შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

6. ძირითადი საშუალებები

დასახელება	წაშთი წლის დასაწყისში	წაშთი წლის ბოლოს
კომპიუტერები	15,719	15,910
კავშირგაბმულობის საშუალებები	889	899
ელ.მოწყობილობები	36,299	36,738
სხვა	47,460	48,035
ავეჯი	5,056	5,118
არამატერიალური აქტივი	743	752
მსუბუქი ავტომობილები	55,296	55,966
შენობა	599,517	606,776
	760,979	**770,192**

7. საკუთარი კაპიტალი

- **საწესდებო კაპიტალი**
  საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ თანხას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტში.
- **დივიდენდები**
  კომპანიის მფლობელი უფლებამოსილია დივიდენდის მიღებაზე, მათი გამოცხადებისას გარკვეული პერიოდულობით. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი ნაშთი შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, ფასს-ების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად.

8. კაპიტალის მართვა

- კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა არ აქვს, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს რომ შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალი, როგორც საოპერაციო და სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად, ასევე ბაზრის მონაწილეთა შორის ნდობის შესანარჩუნებლად. წლის განმავლობაში მიდგომაში კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით არ ყოფილა ცვლილება. კომპანია არ ექვემდებარება კაპიტალთან მიმართებაში მესამე მხარეთაგან დადგენილ მოთხოვნებს.

9. სესხები

სესხები აღებულია ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტებისგან ძირითადად უცხოურ ვალუტაში. დაკავშირებულ მხარეებთან არ გვაქვს მიღებული და გაცემული სესხები.

10. ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანია შემდეგი რისკების წინაშე იმყოფება:

- საკრედიტო რისკი
  საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მეორე მხარე არ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და კომპანიას ძირითადად წარმოეწვება სავაჭრო მოთხოვნებისგან და ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისგან
- ლიკვიდურობის რისკი
  კომპანია რწმუნდება რომ აქვს საკმარისი ნაღდი ფული დაფაროს მოსალოდნელი საოპერაციო დანახარჯები 30 დღიანი პერიოდისთვის მოთხოვნისამებრ, ფინანსურ ვალდებულებების შესრულების ჩათვლით; ეს გამორიცხავს პოტენციურ გავლენას ექსტრემალური სიტუაციების დროს, რაც შეუძლებელია გათვლილ იქნეს წინასწარ, როგორიცაა სტიქიური მოვლენები. არ არის მოსალოდნელი რომ ფულადი ნაკადები რომლებიც გათვალისწინებულია ხანდაზმულობის ანალიზში შესაძლოა აღმოჩნდეს მნიშვნელოვნად უფრო ადრე გასაღები ან მნიშვნელოვნად განსხვავებული ოდენობის.
- საბაზრო რისკი
  საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო კონვერტაციის განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მფლობელობაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე. კომპანია არ მიმართავს ჰეჯირების პრაქტიკას, მოგება ან ზარალში ვოლეტარულობის სამართავად.

- სავალუტო რისკი

  კომპანიის წინაშე არსებობს სავალუტო რისკი, რამდენადაც არსებობს შეუსაბამობა იმ ვალუტებს შორის რომლებითაც ამონაგები, შესყიდვები და სესხებია დენომინირებული და კომპანიის სამუშაო ვალუტას შორის. კომპანიას აქვს განფენილობა სავალუტო რისკის მიმართ შესყიდვებთან და სესხებთან მიმართებით, რადგან ისინი დენომინირებულია ვალუტაში, რომელიც განსხვავდება კომპანიის სამუშაო ვალუტისგან, ვალუტები რომლებშიც ეს ტრანზაქციებია დენომინირებულია ძირითადად ევროში.

11. ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ხარჯები მოიცავს:

საპროცენტო ხარჯები სესხებზე;

უცხოური ვალუტის კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული მოგება ან

ზარალი ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე.

საპროცენტო ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. უცხოური ვალუტის კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი აისახება ნეტო საფუძველზე როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური დანახარჯი გამომდინარე იქედან არის თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის პოზიციაში.

12. მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების ღირებულება გამოიანგარიშება საშუალო შეწონილი პრინციპის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე და მათი ადგილზე მიწოდებასა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა ხარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში მარაგების მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯების მოსალოდნელი ღირებულება.

13. მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანია ქმნის ანარიცხებს თანხებზე, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია სახელმწიფო ბიუჯეტში. 2017 წლის 01 იანვრიდან საქართველოს საგადასხადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოგების გადასახადის ნაწილში. ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება ნულოვანი განაკვეთით მიღებული მოგების კომპანიაში რეინვესტირების შემთხვევაში და დაიბეგრება 15%-იანი განაკვეთით მხოლოდ კომპანისს დამფუძნებლებზე დივიდენდად გაცემის დროს. მოგების გადასახადით დაიბეგრება ინდივიდუალური ტრანსაქციები და ოპერაციები, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც საგადასახადო კოდექსის მიხედვით არ ითვლება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯად. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება პროპორციით 15/85. ასეთი ტიპის ოპერაციები წარმოადგენენ მუდმივ სხვაობას და არწარმოქნიან გადავადებული მოგების გადასახადის წარმოქნის პირობას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, მოგების გადასახადი მიმდინარე ხარჯები არ კორექტირდება გადავადებული

გადასახადების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის.

14. საკუთარი კაპიტალი

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არაკმაყოფილებენ ფინანსური ვალდებულებების აღიარების კრიტერიუმს კომპანიის მიერ აღირიცხება როგორც საკუთარი კაპიტალი. საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწარმოს მესაკუთრეების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას, ამ ინვესტიციების მატებას, რომელიც მიღებულ იქნაკომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და საწარმოში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით და მესაკუთრეთა ინვესტიციის შემცირებას, რაც განაპირობა არამომგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

15. ამონაგების აღიარება

საქონლის რეალიზაციიდან ამონაგები აღიარდება მაშინ, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება. მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

16. იჯარა

ყველა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

17. თანამშრომელთა ხარჯები და მასათან დაკავშირებული შენატანები

ხელფასი, ბონუსები, დარიცხულია წლის განმავლობაში, მაშინ როდესაც თანამშრომლებმა გაუწიეს მომსახურება კომპანიას, ხოლო ანაზღაურებადი შვებულებები, მათი ფაქტიური სარგელობის დროს. ვინაიდან საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით მიმდინარე წლის გამოუყენებელი შვებულება ანაზღაურდება მომავალ პერიოდებში, არწარმოიქმნება გამოუყენებელი შვებულების რეზერვი.

18. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

19. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

20. ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

21. სხვა ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

22. საგადასახადო ვალდებულება

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას ერიცხება საგადასახადო ვალდებულება: - 16,573 ლარის ოდენობით

23. კაპიტალი

2021 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენდა 547,773 ლარს. საწესდებო კაპიტალის ცვლილება საწარმოს შექმნის დღიდან არ განხორციელებულა.

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მნიშნელოვან მოვლენებს.